m-1347

საპოლიტიკო კრებული

მეიქვსე

Ornati

Recueil politique géorgien

ნოემბერ — დეკემბერი

პარიზი

1934 წ.

ჩვენი გეზი

„ᲝᲠᲜᲐᲢᲘ“-ს გამოცემამ ბუნებრივად დიდი ინტერესი გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში და არც არის ეს გასაკვირი, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ მოვლენას, რომ „ᲝᲠᲜᲐᲢᲘ“-ს დამაარსებელნი იყვენ სოციალდემოკრატიული პარტიის წევრები.

ჩვენ ერთჯერ უკვე განვაცხადეთ იმ მიზეზების შესახებ, რომლის გამო ჩვენ უარვყავით სოციალდემოკრატიული იდეოლოგია და ტაქტიკა. ჩვენ ვსთქვით და ვამბობთ, რომ მარქსიზმი საქართველოს პიროზებისათვის მხოლოდ დამღუპველი იყო და მისმა დამახინჯებულად გავრცელებამ ერი ნორმალური მსვლელობის გზიდან ამოაგდო და სოციალური ფათერაკისა და პოლიტიკური დაღუპვის გზაზე შეაყენა, და დაბოლოს, სიკვდილის პირზე დააყენა.

იმ წერილებით, რომელიც ჩვენს ორგანოში იბეჭდებოდა ამ საკითხზე, მკითხველისათვის ნათელი უნდა გამხდარიყო, რომ საქართველოში ხელოვნურად მოტანილი და უკულმართად დანერგილი მარქსიზმი, შეიქმნა მიზეზი იმ უბედურებისა, რომელიც ქართველ ერს თავს დაატყდა. ამ შემთხვევაში მენშევიკურ-ბოლშევიკურ იდეოლოგიას შორის არავითარი განსხვავება არა ყოფილა და როგორც ბოლშევიკისათვის, ისე მენშევიკისათვის, საქართველო, მხოლოდ მათ თავში ავფორიაქებულ აზრების ცდისა და განხორციელების მასალა გახდა. უფრო სწორედ რო ვსთქვათ: არც ერთი მათგანი, არც ბოლშევიკი და არც მენშევიკი, არც ერთი მარქსისტი არა ყოფილა, — იყო მხოლოდ მარქსიზმის დამახინჯება და მისი ბოროტად მოხმარება, — თორემ არც ერთი ჭკუად-მყოფი მარქსისტი და საერთოდ, — არც ერთი გონიერი სოციალისტი ევროპიული თავის, და არა აზიურის, მას არ ჩაიდენდა, რაც მათ, მენშევიზმმა და ბოლშევიზმმა ჩაიდინეს.

ბოროტების დასახასიათებლად მარტო ის რად ღირს, რომ მარქსიზმი მთელი ათეული წლების განმავლობაში ფეხქვეშ თელავდა ეროვნულ საკითხს, ებრძოდა ყოველ მის გამოსახულებას და რაღაც დასნეულებული ინტერნაციონალური აზრებით, ხალხის ეროვნულ ტრადიციულ შემეცნებას დაუზოგავად და განუწყვეტლივ მიწასთან ასწორებდა.

ბოროტების დასახასიათებლად მარტო ის რად ღირს, რომ მარქსის-

ტული პარტია ამ ნიადაგზე აღრჩობდა გაუბედავ, სუსტ, ნორჩ ქართულ პატრიოტიზმს და ანადგურებდა ნაციონალიზმს, ნაციონალიზმს საღს, ჯანმთელს, თავის თავის დამცველს და მეობის შენარჩუნებისათვის მებრძოლს.

ბოროტების დასახასიათებლად მარტო ის რად ღირს, რომ ბ-ნ ჟორდანიამ საქართველო სუფთა ფიცრად გამოაცხადა, რომელზეც მან თავისი უმზგავსო გეგმების განხორციელება მოიწადინა და მას გადააყოლა დემაგოგიით გატაცებული ქართველი ხალხი, — სუფთა ფიცრად, ტაბულა რაზად გამოაცხადა, თითქო საქართველოს არც ისტორია ჰქონოდეს, არც ეკონომიკა, არც საზოგადოებრიობა, რომელიც განსაზღვრულ და ფრიად გარკვეულ განვითარების ხანაში იმყოფებოდა!

ეს არც მარქსიზმი იყო, არც სოციალიზმი! ეს იყო დათხვეული ტვინის მახინჯი შედეგი და მის გამო დღესაც მწარედ, სასტიკად იტანჯება ჩვენი განაწამები ერი!

წარსული საუკეთესო მასწავლებელია, და ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ეს მარქსიზმი და სოციალიზმი, რომელიც საქართველოს ისე უდგება, როგორც ძროხას უნაგირი, — შეიქმნა იმის მიზეზი, რამაც ამ ქვეყნის დაღუპვა გამოიწვია. და ჩვენ მომავალ თაობას, თაობას, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობა კისერზე აწევს, არ შეგვიძლია და არც გვსურს განვიშეოროთ ის, რამაც ქართველი ერი ასეთ უბედურებაში ჩააგდო და განუსაზღვრელი წამება მიაყენა.

ჩვენ უარვყავით და უარვყოფთ ყოველივე დოქტრინას, რაც გარედან მოტანილია, რაც ქართველი ერის ნორმალური განვითარებისათვის შეუსაბამოა, რაც მას არ წაადგება; ამიტომ ჩვენ ვიდგომებით ქართველი ერის ისტორიის, მისი ტრადიციისა და სინამდვილის ნიადაგზე, — ჩვენ ამ მხრივ ვართ რეალისტები და არ გვიტაცებს და გვაბრუებს ლამაზი თეორიები და აფერადებული დებულებები. ჩვენ გვსურს არ გავწყვიტოთ კავშირი სინამდვილესთან, ჩვენ ვდგევართ ისტორიული სინამდვილის მყარ ნიადაგზე და ერის პრინციპის უპირატესობის გამოცხადებით, ეროვნული პრიმატის აღიარებით გადაჭრით ვემიჯნებით ყოველგვარ სოციალიზმსა და დემოკრატიზმს, რომლისათვისაც ეს პრინციპი მიუღებელია. ერი პირველად ყოვლისა — ეს არის ჩვენთვის რეალობა, ეს არის ჩვენთვის არსებობის აზრი.

ჩვენ ხშირად გვეკითხებიან, ხშირად გვწერენ იმის შესახებ, თუ ვინა ვართ ჩვენ და რა გვსურს ჩვენ მომავალი საქართველოსათვის. — ქართული საზოგადოება მიჩვეულია გარკვეულ ფორმულებზე; მას სურს და შვრება, რომელი მიმდინარეობაც არ უნდა იქნეს, დაუძახოს მას სახელი, მიაწებოს გარკვეული ეტიკეტი და ტუჩ-აწევით ან მოწონებით სთქვას: ის მონარქისტია, ეს ფაშისტია, იგი ნაციონალდემოკრატი და

აგი მენშევიკი! — ჩვენ ანგარიშს ვუწევთ ამ მაინცდამაინც ცნობისმოყვარეობას, თუმცა ისიც უნდა აღვიაროთ, რომ გარკვეული, დაპუნქტებული და მუხლებად დანაწილებული პროგრამის მომცემი ჩვენ არა გახლავართ. პროგრამას ჩვენ კი არ დავსწერთ, კი არ დავბეჭდავთ, — პროგრამას ჩვენი მუშაობითა და მოქმედებით დავანახვებთ ყველას, მაგრამ მრავალთა ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ჩვენ მაინც ზოგი ზოგადი დებულება უნდა წარმოვადგინოთ და სახელმძღვანელო აზრები გამოვსთქვათ.

ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა „ᲠᲜᲐᲢᲘ"-ს პირველ რვეულში აღგვეარებია, რომ ჩვენი მიმდინარეობა სდგას პირველად ყოვლისა ეროვნული პრინციპის უზენაესობაზე. ჩვენი მისწრაფებით ეს ეროვნული უზენაესობა უნდა გამოიხატოს ქართველი ერის დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ წყობაში, რომელიც ქართველი ერის სახელმწიფოებრივი, ეროვნული და სოციალური განვითარების ხელისშემწყობი და უზრუნველმყოფელი იქნება.

ბევრს სურს იცოდეს, რომელია ეს წყობა, რომელიც ქართველი ერის ამ სახელმწიფოებრივ, ეროვნულ და სოციალურ განვითარებას უზრუნველჰყოფს. ეს წყობა ერთად ერთია: — მტკიცე, მაგარი, ურყევი ხელისუფლება, რომლის მიზანი და დანიშნულება იქნება აღადგინოს და განამტკიცოს ერის უზენაესობა; რომლის მიზანი და დანიშნულება იქნება დარაზმოს და გააერთიანოს ქართველი ერი ეროვნული კეთილდღეობის და არა კერძო, ჯგუფურ, წოდებრივ, თუ კლასობრივ ნიადაგზე. ეს არ არის რომანტიზმი, როგორც ბევრს სურს მონათლოს იგი; არ არის იგი არც მისტიკა, როგორც ზოგიერთი გაასაღებს მას, — ესაა ზეკლასიური ხელისუფლება ,რომელიც ურყევი ხელით წარმართავს ეროვნულ საქმეს. — მთლიანად ერის ინტერესები პირველად ყოვლისა — აი ის გეზი, რომელიც ქართველ ერს გამოიყვანს, გადაარჩენს და გაამარჯვებიებს.

მაგრამ ამ გამარჯვებასთან დაკავშირებულია აგრეთვე მთელი კავკასიის საკითხიც. — საქართველო განსაკუთრებულ გეოგრაფიულ პირობებში იმყოფება და მასთან გადაბმულია მთელი კავკასიის საქმე. დასაბამიდან ქართველი ერის ხელმძღვანელების პოლიტიკა იქით იყო მიმართული, რომ კავკასია მათ ხელში ყოფილიყო, როცა ეს შესაძლებელი იყო, და ოდეს ეს შეუძლებელი ხდებოდა, ქართული ტრადიციული დიპლომატია ყოველთვის იმისთვის იღწოდა, რომ მეზობელ მთავრობებთან პოლიტიკური კავშირი ან კეთილი და მეგობრული განწყობილება ჰქონოდა. წითელ ხიდზე ქართველი ერის საზღვარი არ ჩერდებოდა და ვერც გაჩერდება მომავალში. საქართველო და კავკასია ერთი ისტორია და ერთი ბედია, — ეს ჩვენ გვავალებს ჩვენ მეზობლებთან მჭიდრო და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკიდებულებაში ვიყოთ და საერთო კავკასიური რეალური პოლიტიკის შექმნით, როგორც საქართველოს, ისე მთლიანად კავკასიის თავისუფლება უზრუნველვყოთ.

აი ის ორი საკითხი, რომელზეც დღეს მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ და შემდეგში კი შევჩერდებით იმ საკითხებზე, რომელიც ეროვნულ ცხოვრებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს, — ესაა საკითხები ოჯახის, სარწმუნოების, ეკონომიური წყობისა და საერთოდ ეროვნული სოციალური განვითარების ამოცანები.

შალვა მაღლაკელიძე

ჩვენი პოლიტიკური პარტიები და ახალი თაობა

პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში შედარებით სულ ახალი ამბავია; ის თარიღდება ჩვენი საუკუნის პირველი წლებით.

ბუნებრივია, რომ მრავალი იდეოლოგიური ძიებანი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში, ხალხში ვერავითარ გამოძახილს ვერ პოულობდა, ვინაიდან პოლიტიკური დანაწილებისათვის სოციალ-ეკონომიური დანაწილება არ არსებობდა. თეორიები მზად იყო, ევროპიდან მოტანილი; მუშა და ვაჭარ-მრეწველი აკლდა... ამათი ჩასახვა კი მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის მიჯნაზე დაეტყო ჩვენს სამეურნეო ცხოვრებას. ჩასახვა, მარტო ჩასახვა — საზოგადოების ეკონომიური დანაწილების უბრალო დასაწყისი — გახდა საკმარისი, რომ მასზე ანაზდეულად ევროპიული თეორიები დამყნილიყო და რაც მაგარია... სულ ახალთ-ახალი ევროპიული თეორიები. აქ, ამავე მიჯნაზე იშვა საქართველოს პოლიტიკური პარტიები და .... ყველა სოციალისტური. მათში ყველას დაასწრო სოც.-დემოკრატიამ და პირველი ადგილიც მან დაიჭირა.

ქართველი მარქსისტები მზად იყვენ, თუ სადმე მუშა დაიბადებოდა — ქარხანა აშენდებოდა და შიგ მუშა გამოჩნდებოდა, — მას სცემოდენ, „იაჩეიკაში" წაეყვანათ და „მეცნიერული სოციალიზმის" რელიგიაზე ეზიარებინათ, მოენათლათ. ვიცით, თუ როგორ, რომელი საზოგადოებრივი მილებით მიმდინარეობდა შემდეგში მარქსისტული მოქცევა ქართველი ხალხის: ეს სოციალისტად მონათლული გლეხი-მუშა, ქარხნების დახურვის გამო ისევ მიწას უბრუნდებოდა, გლეხურ ჭაპანში ებმოდა, მაგრამ უკვე „მეცნიერული სოციალიზმით" გაჟენთილი, სოფელში სო-

ციალისტურ თესლს სთესდა. ამგვარად ქარხნის და მუშის ჩანასახზე იწყო ქართულმა მარქსიზმმა თავისი მოღვაწეობა, მაგრამ იხეირა კი ქართველი ხალხის ფეოდალურ სამეურნეო ურთიერთობაზე, ფეოდალურ ფსიქოლოგიაზე და ამათი ფულის მეურნეობისადმი მტრულ განწყობილებაზე (ამ საკითხის შესახებ იხილეთ: „ᲝᲠᲜᲐᲢᲘ“ ნომერი მეორე, ეროვნული სინამდვილე და სოციალდემოკრატია).

განსაკუთრებული მხარეა ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ის გარემოება, რომ კაპიტალიზმმა, სავაჭრო და სამრეწველომ, ჩვენში ისე დაიწყო შემოსვლა, რომ მას იდეოლოგიური მეპატრონე — პოლიტიკური პარტია არ ჰყავდა და დიდ ხანს არ გამოჩენილა. მოწინააღმდეგეები კი მრავალი დაუხვდა: მენშევიკები, ბოლშევიკები, სოციალისტ-ფედერალისტები და სოციალ-რევოლუციონერები. თითქმის მთელი ოცი წელი ფაქტიურად ოთხი პარტია არსებობდა და ოთხივე სოციალისტური. ყველაზე გვიან კი მოვიდა ის, ვინც ყველაზე ადრე უნდა მოსულიყო. ... ნაციონალ - დემოკრატიული პარტია მხოლოდ რევოლუციის წინა წლებში ჩამოყალიბდა, როგორც პარტია და მას კი წინ უკვე სოციალიზმის ნამოღვაწარი დაუხვდა. ასე უკულმა დაიწყო ჩვენში პოლიტიკური პარტიების ჩასახვის თარიღები; ის, რაც შედეგი უნდა ყოფილიყო, მიზეზი შეიქმნა და რაც მიზეზი უნდა ყოფილიყო, შედეგად მოგვევლინა.

როგორი მახინჯი სახეც არ მიიღო პოლიტიკურმა დანაწილებამ საქართველოში, ერთი ფაქტი, როგორც დავინახეთ, მაინც არის:ამ დანაწილებას რაღაც გამართლება ჰქონდა საქართველოს ეკონომიურ-სოციალურ სინამდვილეში, ჰქონდა მასში ერთგვარი ეკვივალენტი, რასაც ის კორელატიური დამოკიდებულების კანონით, ე. ი. ამა თუ იმ სახით, ამა თუ იმ ხარისხით უნდა აუცილებლად გამოეწვია.

მაგრამ დღეს?.. ქართული პოლიტიკური პარტიების არსებობას აქვს რაიმე გამართლება დღევანდელ ქართულ სინამდვილეში? აქვთ მათ შესაფერისი ეკვივალენტი: კლასები, წოდებები, სოციალური ფენები, რომელთა ინტერესებს ეს პარტიები დღეს გამოხატავენ?

უდავოა: არა!. დღეს ეს პარტიები ამ მხრივ არაფერს გამოხატავენ. დღეს საქართველოში: გლეხი, მუშა, ვაჭარი, ხუცესი, ინტელიგენტი, ყველა წრის, ყველა ჯგუფის ხალხი ერთ უფლებრივ, ერთ ნივთიერ (უკეთ: უუფლებო და უნივთო) მდგომარეობაში არის ჩაყენებული. რუსულმა ტირანიამ სავსებით გაატარა თავისი პროგრამა; მოსპო ყველა ფენა, გაათანასწორა ქართველი ხალხი სრულს სიღატაკეში. ამგვარად გათანასწორებული ქართველი ხალხი დაპირისპირებულია რუს დამპყრობლებზე და მათ ქართველ აგენტთა პრივილეგიურ ჯგუფზე. ბრძოლაც ამ ორ ფრონტს შორის სწარმოებს: რუსულს და ქართულს შორის.

საქართველოში, ქართული ფრონტის დანაწილება პარტიების სახით

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებითად შეუძლებელიც არის. იქ ეს დანაწილება დიდი ხანია უკვე აღარ არსებობს. უცხოეთში კი ეს პარტიები ინერციით განაგრძობენ არსებობას და მშობლიურ დღევანდელ სინამდვილეს აცილებულნი, ცაში გამოკიდებულნი, ასეთივე ინერციით განაგრძობენ იმ ბრძოლას, რომელსაც ისინი ურთიერთშორის წინად აწარმოებდენ.

აქვს გამართლება ამას? კიდევ ვკითხულობთ.

შეიძლება გვითხრან: როდესაც საქართველო აღსდგება, კლასებიც, სოციალური დანაწილებაც აღსდგებაო, რომ ამის მოლოდინში უნდა შევინახოთ პარტიებიო.. თვით ყოვლის ამხსნელ მარქსისტულის გაგებითაც არ შეიძლება სოც. დანაწილება იმ სახით აღსდგეს, როგორითაც ის წინად არსებობდა. ჩვენს სინამდვილეზე უბრალო თვალის გადავლებაც ხომ საკმარისია — მარქსისტული და სხვა უცხო დურბინდები რომ არ ვიხმაროთ — რო დავრწმუნდეთ, რომ ძველებური მიწის განაწილება ან საერთოდ ძველებური ტიპი საკუთრებისა ან კიდევ ამაზე დაყრდნობილი სოციალურ ფენათა ძველებური ურთიერთობა არ აღსდგება. იმისი მარჩიელობა, როგორი სახით აღსდგება ყოველივე ეს, რათა აქედანვე შევუგუოთ ძველი, გაცვეთილი პროგრამები და ამ ნიადაგზე ბრძოლა სწარმოებდეს, უაღრესად მავნეა ჩვენი ქვეყნისათვის.

ახალი თაობა, უცხოეთში გადმოხვეწილი, ჩაება აქ არსებულ პარტიულ ბრძოლაში, თუმცა ამ ბრძოლის ნამდვილი მიზეზების მას არასდროს არაფერი გაუგია. მან საქართველოდან ბრძოლით გამოიტანა ერთად ერთი იდეა: **ეროვნული დროშის**. ამიტომ მისთვის პრინციპიალი დავა უფრო აკადემიურ ხასიათს ატარებდა და, ეროვნულის გრძნობით გაჟენთილს, არასოდეს არ წარმოედგინა, თუ ეს დავა შეიძლებოდა გამხდარიყო მებრძოლ ქართული ფრონტის გამთიშველად.

ძველი თაობა უცხოეთში, ზოგიერთის მცირე გამონაკლისით, ასე არ ფიქრობს, ასე არ აზროვნობს. მათ ურთიერთ დამოკიდებულებას ამწვავებს არა ე. წ. პრინციპიული განსხვავება, არამედ ურთიერთშორის წასული ბრძოლის მოგონება, პირადათ მათი შეუთავსებლობა და შეუთვისებლობა ურთიერთთან. ნამდვილი მიზეზიც გათიშვისა აქაა. ამიტომაც არის, რომ ხელოვნურად არსებულ პარტიების ხელოვნურად შეკოწიწებული ფრონტი, თანამშრომლობის მაგივრად, პერმანენტულ ვულკანზე ჯდომასა ჰგავს; როდის აფეთქდებიან, არც ერთმა ამ ფრონტის მონაწილემ არ იცის.

თუ სოციალდემოკრატებს ვერ დაუმტკიცებთ, რომ მათი არსებობა ხელოვნურად გრძელდება, რომ მან დრო მოსჭამა, (ვიცი, თვით ღვთის არსებობაში ეჭვის შეტანას უფრო მოითმენდა იეზუიტი, ვიდრე ასეთის თქმას ძველი მენშევიკი, მაგრამ რა ვქნათ, უფრო რბილად არ ხერხდება თქმა), იმას ხომ მაინც არ უნდა მტკიცება, რომ „ესერების“ პარტიამ

კარგა ხანია სული განუტევა და მას... გულდაწყვეტითაც არავინ იგონებს. ეს „პარტია“ კი "ეროვნულ ცენტრში“ ზის...

სოციალისტ-ფედერალისტები?.... თავისი ფედერაციის — რუსეთის ფედერაციის და მიწის სოციალიზაციის პროგრამით რას წარმოადგენენ ამ ჟამად? ამათ, მათ მეთაურებს, ყოველ შემთხვევაში პატრიოტობას ვერავინ დაუწუნებს და მათ პოლიტიკურ გულწრფელობაშიც ძნელია ეჭვის შეტანა; მაგრამ მათი პროგრამა ისე უდგება დღევანდელ საქართველოს, როგორც ძროხას უნაგირი. მაშ რაშია საქმე? რატომ არ ისმის მათი ახალი სიტყვა? რატომ არ ხდება ამ პარტიის ლიკვიდაცია? ამათზე ხომ არ შეიძლება თქმა, რომ ისინი პარტიის პატრიოტები უფრო არიან, ვიდრე საქართველოსი? საკითხი პარტიის ლიკვიდაციისა მათ წრეში მართლაც იდგა და სერიოზულად იდგა, მაგრამ არ მოხდა არც პარტიის, არც ძველი პროგრამის ლიკვიდაცია. მიზეზი?... — მმართველი პარტია, სოციალდემოკრატია გახლავთ. ამ უკანასკნელს ფედერალისტები რიცხობრივად ბევრს ვერაფერს შემატებდა; ე. წ. ეროვნულ ცენტრში კი ერთი პარტია მოაკლდებოდათ! მაშინ ესერების იქ ყოფნას სულ ეკარგებოდა აზრი.

დარჩა ნაციონალ-დემოკრატები, რომელთა ზოგი ჯგუფი ხან შედის ამ „ცენტრში“, ხან გამოდის; (ამას პოლიტიკური ოთურმა ჰქვია!).

ამგვარად, სოც. ფედერალისტების პარტიის ლიკვიდაციის შემთხვევაში, „ეროვნული ცენტრის“ მზგავსებაც, გარეგნული მზგავსებაც არ იქნებოდა. ამიტომ არ დასთანხმდენ სოც.-ფედერალისტთა პარტიის ლიკვიდაციას მენშევიკები და მით გადაარჩინეს თავისი ხუხულა: ქართულ პოლიტიკურ პარტიათა ცენტრი!

მენშევიკებს ეს თავის ნაცოდვილევი შემდეგი დასკვნის გამოსატანად სჭირდებათ: საქართველო შესდგება მხოლოდ „ცენტრში“ შემავალ პარტიებისაგან და მათში კი მე ვარ ხელმძღვანელიო, მაშასადამე, ერის უფლებრივი მეპატრონე, მისი მეთაურიო! აი, რისი დამტკიცება იყო და არის საჭირო, თორემ სინამდვილეში, მენშევიკები რომ ამ ფრონტს და მასში შემავალ პარტიებს არავითარ ანგარიშს არ უწევენ, ეს ეხლა ბატმაც იცის!

ამ პოლიტიკურ თაღლითობას ახალმა თაობამ ბოლო უნდა მოუღოს.

საქართველოში ქართველი ხალხი გაერთიანებულია მტრის წინააღმდეგ პასიური თუ აქტიური ბრძოლით. ამ ბრძოლის საუკეთესო მცოდნე, ამ მთლიანი ქართული სულის საუკეთესო გამომხატველი, არა მსოფლიო, მოარული იდეებით დაავადმყოფებული, არამედ საქართველოს ამ დიდ ბრძოლებზე აღზრდილი, მისი მონაწილე, მისი სპეციალისტი, — მებრძოლი ახალი თაობაა! მან კარგად იცის, რომ დღევანდელი მისი ბრძოლა ქართული კულტურისა და ქართული ხმალის ბრძოლაა! საქა-

რთველოში ახალგაზრდობამ იცის, რომ ეს მეტად მძიმე, საპასუხისმგებლო მოვალეობა სწორედ მისი, ახალი თაობის მოვალეობაა, მისი დანიშნულება. მას ეს სიმძიმე არა თუ არ ემძიმება, არა თუ მსხვერპლი არ ეშურება , ის სიმძიმეს დიდის ხალისით ეკიდება, ამ მსხვერპლს დიდის ხალისით სწირავს, ვინაიდან იცის, რომ ეს მსხვერპლი ერის წმიდა საკურთხეველზე მიდის და არ იბნევა ისე უანგარიშოდ, სულ ახლო წარსულში რო ხდებოდა; იცის, რომ ამ მსხვერპლს ის ქარს არ ატანს, რომ **ამით ერის** ბედს, მის მომავალს სჭედს.

იყო დრო, როდესაც საქართველოში ახლად ჩასახული ჯგუფები ან პარტიები უცხოეთში აგზავნიდენ ხალხს იდეოლოგიის საიმპორტოდ. დღეს ახალგაზრდობა უცხოეთში იდეოლოგიის საძებნელად აღარ მოდის. მას ამისთვის შორს სიარული აღარ სჭირდება. მისი იდეოლოგია მუდამ მასთან არის, მასში არის — **ხალასი ეროვნული იდეოლოგია!** მინიმუმიც აქ არის მისი პროგრამისა და მაქსიმუმიც. ყოველივე სხვა ან უნდა ემორჩილებოდეს ამ დიდს — ეროვნულს, — ან სრულებით არ არსებობდეს.!

ჩვენ? — დამარღვეველი, გამთიშველი საქართველოს სინამდვილეში არაფერი გვაქვს, მაგრამ დაშლილი კი ვართ. მიზეზი? — მიზეზი, მეფის რუსეთის ბატონობის დროს, მაშინდელ პოლიტიკურ და ეკონომიურ წყობაზე და იმ წყობის წინააღმდეგ წარმოშობილია პარტიებია, რომელთა საჭიროება დღევანდელმა ეროვნულმა ბრძოლამ უარჰყო. დღეს საქართველოს **ზეკლასიური, წმიდა ეროვნული, შემკრები ქართული იდეა ახელმძღვანელებს** თავის ბრძოლაში. **და ამ** იდეით **შეკრება საქართველოში ფაქტია.**

ამ ფაქტით, ამ შემკრებ იდეით ვერ ისარგებლა ან არ ისარგებლა ერის საკეთილდღეოდ, უცხოეთში მყოფმა ძველმა თაობამ. **მან, ერისათვის ამ** უდიდესი განსაცდელის ჟამს, გამოცდა ვერ დაიჭირა, ეროვნული იდეოლოგიის ათვისებაში ყრუ გამოდგა, ეროვნული პარტიულზე მაღლა ვერ დააყენა. ამით იგი უდიდეს ბოროტებას სჩადის და ამიტომაც ახალი თაობა მისი იმედით და მისი შემყურე არ უნდა დარჩეს. ეს შეკრება, მზგავსად მებრძოლ საქართველოის, მან უნდა მოახდინოს, და მასთან ერთად უნდა იყოს ძველი თაობიდან ყველა ის, ვინც ამ გზას იზიარებს.

ეროვნულ ორგანიზმში ისეთი გათიშვა, როგორსაც ამ ჟამად ადგილი აქვს, ყოველი **მებრძოლი** ახალგაზრდისათვის უუდიდესი სატკივარია. ახალგაზრდობა კი **უძლურია** ძველი თაობის შეთანხმება-შედუღება მოახდინოს. მართლაც და მეტად განსხვავებული მასალიდან არიან აგებულნი, რომ მათი შედუღება მოხერხდეს. მაშ, ახალი თაობის შედუღებას რა უშლის ხელს? ცალ-ცალკე დაჯგუფებას რა აზრი აქვს, რა გამართლება? — **პარტიული სიძულვილი?** არა! ახალი თაობა ეროვნული

ბრძოლის პროცესში სულ შემთხვევით აღმოჩნდა სხვა და სხვა პარტიებ თან მიკედლებული; ურთიერთის სიძულვილი მასში არც შეიძლება იყოს. — **პროგრამები?** არა. პროგრამა ერთია — ერის თავისუფლება! **სხვა ეპოქაში აღზრდა?** სხვა და სხვა მასალისაგან აგებულება? არა! ერთი მასალის, ერთი ეროვნული სკოლის, ერთი ეროვნული ბრძოლის ჭახრაკში არის თვითეული ახალგაზრდა გატარებული!

ახალი თაობა არ შეიძლება ერთად არ მოთავსდეს. პარტიულ დანაწილებაზე, ცალკე ჯგუფებისათვის ან პარტიებისათვის მეტ თუ ნაკლებ წარმომადგენლობაზე დავა არც შეიძლება იყოს. იქ ერთი აზრი იქნება: — ერთად ყოფნის, ერთად ბრძოლის!

ამიტომ დრო არის ვაკეთოთ **ქართველი ახალგაზრდობის ეროვნული გაერთიანების საქმე; დრო არის თვითეულმა ახალგაზრდამ დასტოვოს თავისი ვიწრო პარტიული სამოსელი და ყველა ერთ ქართულ სამოსელში გავეხვიოთ, ერთად დავჯგუფდეთ, ეროვნული დარაზმულობის დროშის ქვეშ დავდგეთ.**

ედ. პაპავა

სპარსეთი, დეკემბერი 1934წ.

საერთო ფრონტი

მუშათა სოციალისტურმა ინტერნაციონალმა, სახელწოდებით მეორემ, ერთი უდიდესი დამარცხება განიცადა ომის დროს, როდესაც იგი ფაქტიურად დაირღვა კიდეც და მისი თეორიები ეროვნული საკითხისა და ომის შესახებ ზარბაზნების ყუმბარებს თან გადაჰყვა. ომის შემდეგ დიდის ვაი-ვაგლახით კვლავ შეკოწიწებულ იქმნა ეს დაწესებულება და მას თან დაჰყვა ისეთი სენი, რომელიც ძველად გარდაცვლილს ნაკლებად აწუხებდა. — სოციალისტურ ინტერნაციონალში წარმოდგენილი სხვა და სხვა ქვეყნის სოციალისტური პარტია, რომელიც ეხლა უბრალო პარტია კი აღარ იყო, არამედ სახელმწიფოს მმართველი, მოვიდა აქ თავისი სახელმწიფოებრივ-ეროვნული ანგარიშით და მიდგომით. სოც. ინტერნაციონალში ეხლა იყვენ სახელმწიფო პარტიები, რომელნიც თითქმის ყველა საკითხს თავის სახელმწიფოს ინტერესით უდგებოდენ და სჭრიდენ. ამ ნიადაგზე მეტად ძნელი შეიქმნა ყოველთვის საერთო ენის გამონახვა. ყველაზე უფრო მკაფიოდ ეს ვითარება გამოაშკარავდა საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულებაში. სოც. პარტიები იმ სახელმწი-

ფოთა, რომელნიც უკვე იყვენ საბჭოთა რუსეთთან ერთგვარ განწყობილებაში ან კიდევ მოელოდენ ან საჭიროდ სცნობდენ მას, მუდმივ მოითხოვდენ საბჭოთა რუსეთის აღიარება-ცნობას და კიდეც მიახწიეს მას.

უსახლკარო ქართული სოციალისტური პარტია კი უგუნურად ამას დასტურს აძლევდა და ბ-ნი ჟორდანია ასეთ მარგალიტებს სწერდა: — „იურიდიული ცნობა თავისთავათ არაფერს სცვლის სახელმწიფოს მდგომარეობაში, ის მას ვერც გაამაგრებს, ვერც დაასუსტებს"-ო და ერთი წუთითაც არ ფიქრდებოდა იმაზე, თუ ასე გამწარებით რატომ ეძებდა მოსკოვი სწორედ ამ იურიდიულ ცნობას. ამ საკითხშიდაც კი ამ გამოგდებულმა და გაპარტახებულმა მენშევიკურმა პარტიამ ეგზამენი ვერ დაიჭირა და საქართველოს ინტერესები ინტერნაციონალში წარმოდგენილ პარტიებს დაუხურდავა. ან კ, როდის უხელმძღვანელია მენშევიზმს ქართული ეროვნული ინტერესებით?!

დრო მიდიოდა და ინტერნაციონალს სხვა ემიგრანტული პარტიები უჩნდებოდა, — დღეს ინტერნაციონალში წარმოდგენილი პარტიების დიდი ნაწილი ემიგრანტული ან საემიგრანტოდ გამზადებული პარტიებისაგან შესდგება; და მათ შორის არა ერთხელ წამოიჭრა საკითხი.... ბოლშევიკურ მესამე ინტერნაციონალთან თუ გაერთიანების არა, შეთანხმებული მუშაობის განხორციელების შესახებ. დიდი მიწერ-მოწერა, ხშირი შეხვედრა და ბევრი ფაციფუცი იყო ამის გამო, მაგრამ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. მაგრამ ყველას აჯობა მაინც საფრანგეთის სოციალისტურმა, ბლიუმის პარტიამ. მან უკვე სინამდვილეში განახორციელა საერთო ფრონტი კომუნისტებთან ერთად. სოც. ინტენაციონალი ამგვარად ფაქტის წინაშე დადგა და საერთო ფრონტის საკითხი ინტერნაციონალის ეკზეკუტივს წინ წამოეჭრა. რა დასკვნაზე მივიდა იგი? განა შესაძლებელი იყო ერთი დასკვნის გამოტანა იქ, სადაც სხვა და სხვა სახელმწიფო და ეროვნული, სხვა და სხვა პარტიული და საზოგადოებრივი ინტერესი ამუშავდა? ამიტომ ინტერნაციონალმა მარტივ სიბრძნეს მიმართა და ხმამაღლა აღიარა: ყველა პარტიას ისე შეუძლია იმოქმედოს, როგორც იგი საჭიროდ დაინახავსო. ამნაირად ინტერნაციონალმა თავისი სისუსტე აღარ დამალა, არც თუ უბრალო სისუსტე! აშკარად განაცხადა, რომ იგი მხოლოდ მოჩვენებაა და არავითარ ძალას არ წარმოადგენს. ამის თქმაც ვაჟკაცობაა და მას ღირსებად ვთვლით.

მაგრამ უღირსი ვინც იყო აქ, ესაა ქართული მენშევიკური პარტია, რომელმაც საერთო ფრონტის წინააღმდეგ თავისი წერილობითი მოხსენება წარადგინა. როგორ უდგება იგი საერთო ფრონტის შექმნის საკითხს? — თურმე ბოლშევიკები მარქსისტები არა ყოფილან. აი როგორი ბრალდება წაუყენეს მათ! თურმე არსებობს კომუნიზმი მარქსისტული და აგრეთვე ლენინური! რასაკვირველია, ამ ლენინურ-სტალი-

ნურ კომუნიზმს ქართველი მენშევიკები არ ღებულობენ, არ ღებულობენ ვინაიდან „ბოლშევიკების სოციალური მიზანი და მისგან გამომდინარე საშუალებანი ერთნაირად (შეხედეთ!) ანტი-ხალხური, ანტი-დემოკრატიულია“!. და ჩვენი უებრო დემოკრატები ამას როგორ მოითმენენ?! მაგრამ მოითმენენ კი არა, სიხარულითაც აჭყლოპინდებიან, თუ კი ბოლშევიკები დასთმობენ და დემოკრატიული სოციალიზმის პრინციპებს მიიღებენ!!! და მემორანდუმის შემადგენელნი ინტერნაციონალს ასე ურჩევენ: — „ბოლშევიკებმა პირველათ იქიდან მისცენ ევროპას გარანტია ამხანაგობის და გულწრფელობისა. პირველათ იქ შედგეს ერთი ფრონტი და ამის დაგვარად შეიცვალოს საბჭოთა პოლიტიკა — დაბმული ხალხების და პარტიების აშვება, კომუნისტური პარტიის მონოპოლიის მოშლა, შრომის და ნაშრომის თავისუფლების აღიარება, მთელი ეკონომიური და პოლიტიკური წყობილების შეცვლა სოციალისტური გეზით და მხოლოდ ამის შემდეგ სოც. ინტერნაციონალს უფლება და მოვალეობა ექნება კომინტერნთან შევიდეს კავშირში და ბოლოს ორივე გაერთიანდენ“... აი ის მოთხოვნილება, რომელიც ქართველმა მენშევიკებმა წარადგინეს. ცოტაა? ძალიან, ძალიან ბევრიც! მაგრამ ერთი ვიკითხოთ: განა დაღუპული და განადგურებული ქვეყნის შვილები ასე მიუდგებიან საკითხს? სად არის აქ საქართველო? სად არის აქ ქართული პარტიის მოთხოვნილება ქართველი ერის შესახებ? სხვაზედაც ზრუნავენ? ბარაქალა! მაგრამ საქართველომ რა დააშავა, რომ მისი სახელის ხსენებაც კი არ არის? — თავისთავად, ზემოამოწერილი მოთხოვნილება შეეძლო დაეწერა პოლონელს, ჩეხს, ვინც გინდა სხვას, მაგრამ რა ზნეობრივი უფლება ჰქონდა ქართველ მენშევიკებს, რომ საკითხს ეროვნული საზრისით არ მიუდგენ და საქართველოს ბედი არც მოიხსენიეს? მაგრამ ესეც კია: ეროვნული თვალსაზრისი როდის აწუხებდა მენშევიზმს, რომ ეხლა შეწუხებულიყო! — ეს დოკუმენტია პირწმინდა მენშევიკური, პარტიული დოკუმენტი და ისიც უსუსური! მათ არ ძალუძთ ეროვნულ ინტერესებამდე ამაღლდენ, — ეს უნუგეშო იმედია და ვინც დღემდე მაინც კიდევ ფიქრობდა, რომ მათ ქართული საქმის გაკეთება ან პროპაგანდა შეუძლიათ თუ გინდ სოც. ინტერნაციონალში, დღეიდან მაინც უნდა დარწმუნდენ, თუ რაოდენ შემცდარია ასეთი ფიქრი.

ბ. ბებურიშვილი

საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ

წერილი მესამე

წინა წერილში ჩვენ შეუჩერდით კერძოდ სამეგრელოს ისტორიაზე, და ნათელ ვყავით, თუ ბ. ნ. ჟ. ქართულ ისტორიას რამდენად უმართებულოდ ეპყრობა და ბღალავს მას იმის გულისათვის, რომ მის მიერ საკუთრივ აკინჭილებული დებულება დაამტკიცოს. იგი ამ მიზნით არაფერს ერიდება, და ეს არც გასაკვირველია, ვინაიდან მას ისტორია თავის სათამაშო ტიკინად მიუჩნევია! მაგრამ ყველაზე უფრო აღსაშფოთებელია თავისი დემაგოგიური მიდგომით ბ-ნ ნ. ჟ.-ს შემდეგი დებულება: — „ამ ფეოდალურ პოლიტიკურ ხაზზე საბოლოოთ დადგენ, მცირე ყოყმანის შემდეგ, ქართველი საზოგადო მოღვაწენიც. ტახტის ერთგულების საჯაროთ გამოფენა, მისი სახალხოთ ქადაგება. უქვეშევრდომილესი მორჩილების აღიარება და ამ გზით ქართული საქმისათვის სამსახური — ხდება ჩვენ მოღვაწეთა საზოგადო დოკტრინათ. ეს იყო პოლიტიკა, საშუალება, გზა და ხიდი ჩვენი ნაციონალური აღორძინების წინ წასაწევათ. ამ დოქტრინას ეძლევა ოფიციალურათ ქართული ნაციონალური ხასიათი ი. ჭავჭავაძის ხელის მოწერით გამოქვეყნებული წერილით, დაწერილი ნიკოლოზ მეორის გვირგვინის კურთხევის გამო. აქ ვკითხულობთ: „სასოებით ვეგებებით ჩვენთვის და მთელი რუსეთისათვის დიდებულ დღეს და ერთგული ქვეშევრდომის გრძნობით ღმერთსა ვსთხოვთ მრავალჟამიერ სიცოცხლეს ჩვენის საყვარელის იმპერატორისას საბედნიეროდ და საახოდ ჩვენდა“. შემდეგ როცა ხალხის მოძრაობა დაიწყო და პროგრამებზე ჩამოვარდა კამათი, „ივერია“ ისევ უბრუნდება ამავე დოქტრინას და სწერს: „ქართველს უნდა ჰქონდეს გარკვეული პროგრამმა; ასეთი პროგრამმა გვაქვს. პირველი მუხლი: ქართველობა აღიარებს თავის მტკიცე ერთობას და ერთგულებას რუსეთისას და ჩვენი ხელმწიფე იმპერატორისა“.“....

როგორი იყო სინამდვილე? — უნდა ვიკითხოთ ჩვენ.

საქართველოში რუსეთის შემოსვლის შემდეგ ხდება აჯანყება: — 1802წ., 1804 წ., 1810 წ., 1812 წ., 1813წ., 1819-20 წ., 1840-41 წ., 1859 წ., 1861 წ., 1875 წ. და 1832 წ. ცნობილი შეთქმულებაც!

სამი უკანაკნელი აჯანყება ეკონომიური და სოციალური ხასიათისა

იყო და მას თუნდაც ნუ ჩავთვლით ეროვნულ აჯანყებათა რიცხვში, თუმცა დაჩაგრული ერის ეკონომიურსა და სოციალურ ნიადაგზე მომხდარი აჯანყება თავის თავად ეროვნულ ხასიათს ღებულობს. ამ აჯანბათა სისხლით დასრულდა ეროვნული ბრძოლის ხელმძღვანელი წრეებისათვის, ფაქტიურად, თავადაზნაურობისათვის, იარაღის ხანა. ეროვნული ბრძოლის შემდეგი ხაზები გადადის და უკან იხევს ახალ პოზიციაზე: ქართული კულტურის ფრონტზე! აქ მთავარ როლს თამაშობენ ჯერ კიდევ ძველები და მათი წრეები, მონაწილენი თუ მომსწრენი იარაღით ბრძოლისა თუ შეთქმულებისა, — მთელი ეს, ჯერ კიდევ ღვაწლ-დაუფასებელი თაობა, არსებულ ვითარებას შეურიგდა და ეროვნულ-კულტურული მუშაობა დაიწყო. ეს საკითხი ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ და აქ აღარ შევეხებით (იხილეთ „კავკასიონი", წიგნი მერვე), ხოლო აღსანიშნავია აქაც ტრაღედია, ეს თაობა რომ განიცდიდა იმ ვითარებით, რომელშიაც იგი მოემწყვდა: ერთი მხრივ: რუსეთის სამსახური, — მეორე მხრივ: ეროვნული მტრის წინააღმდეგ ბრძოლა, დიდი სიფრთხილით ნაწარმოები! ამ ხანის ქართველ მოღვაწეთა დახასიათებისათვის ზედმიწევნით გამოკვეთილია ილია ჭავჭავაძის სიტყვა ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ ნათქვამი: — „თუმცა ბოლოს, როცა (ნიკოლოზ ბარათაშვილმა, ვ. ნ.) თავისის მამული დამშვიდებული ჰნახა და მტერთაგან უშიშარი, შეიფერა მის მიერ ეგრედ წოდებული „ახალი ქართლი" და მის ყოფა-ცხოვრებას თითქოს შეურიგდა, მაგრამ ესეც ხომ მისი ნათქვამია:

> რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,
> გალიაშია დატყვევებული"...

(ილია ჭავჭავაძე, 1892 წ.)

განუწყვეტელი ბრძოლა იარაღით არც ერთ ერს არ უწარმოებია და ეს შეუძლებელია, — ერი თავისი ბრძოლის ტაქტიკას მუდამ იცვლის და ხელმძღვანელობის ჭკუაც და უნარიც სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ეს ბრძოლა ნაკლები მსხვერპლითა და მეტი მოგებით აწარმოოს. ამ თვალსაზრისით, და სხვაგვარი არც შეიძლება, ამ თაობამ ერს დიდი ამაგი დასდო და ბრძოლის გაგრძელება პირნათლად შემდეგ თაობას უანდერძა. ეს თაობაა მოღვაწეთა გუნდი, რომელიც მესამოცე წლებიდან საბრძოლო ასპარეზზე გამოვიდა.

ორბელიანების და ერისთავების თაობა შესცვალა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთელის და ნიკო ნიკოლაძის თაობამ. ბ-ნი ნ. ჟ.-ს თქმით, ეს თაობაც თურმე ფეოდალური პოლიტიკის ხაზზე დამდგარა, „ქართველ მოღვაწეებსაც" თურმე „ოჯახურ-წოდებრივი ინტერესები"

„ერის ინტერესებზე“ მაღლა დაუყენებია, და, რასაკვირველია, ამით ეროვნული ინტერესები შეულახავს!

როგორი არის ისტორია და არა ზღაპარი!

რასაკვირველია, ისტორია უფრო რთულია და მრავალშტოანი, ვინემ კაბინეტში ზერელეთ დაწერილი წერილი!

დიმიტრი ყიფიანი რუსეთის დიდი მოხელე იყო, უერთგულესი რუსეთის იმპერატორისა და იგი ამ თავის მდგომარეობასა და მიმართულებას ქართულ ეროვნულ მოღვაწეობასთან ათავსებდა. აქ იყო უსათუოდ გაორება, მაგრამ ეს მისი გაორებული პოლიტიკა მით დასრულდა, რომ იმავე რუსეთის მთავრობამ იგი გადაასახლა, ოდეს მან ხმამაღლა ქართველი ერი დაიცვა, და მას, მოხუცებულს, თავი გაუჭეჭყეს. რუსეთის მეფისადმი ამ ერგულების პოზიციაზე იდგა ერთი ნაწილი, და ამავე დროს იგი ქართულ ეროვნულ ასპარეზზე მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა.

ჩვენ აქ აღვნიშნავთ იმ ნაწილსაც, რომელსაც ქართული ეროვნული ცხოვრება აღარ აინტერესებდა და გადაგვარების გზაზე იყო შემდგარი. ეს იყო ჩვენი მაღალი წრეების ერთი ნაწილი, საბედნიეროდ, მცირერიცხოვანი.

ილია ჭავჭავაძისა და მისი დასის მდგომარეობა კი მეტად რთული და მძიმე იყო. ეს დასი გარკვეული ეროვნული პოლიტიკის გზას ადგა — და ეს იყო თავისუფალი საქართველო! ჯერ კი — ეროვნული ვინაობის დაცვა, ეროვნული მეობისშენარჩუნებისათვის ზრუნვა. ეს ხომ ის ხანა იყო, როდესაც სიტყვა „საქართველო“ აკრძალული იყო! ილიასი და მისი დასის მოღვაწეობა ხმარდებოდა ეროვნული კულტურის განვითარებას და ყოველდღიური, შეუსვენარი მუშაობით ეროვნული ცხოვრების ყველა დარგის ამოძრავებას და ამუშავებას. ტაქტიკა ხშირად იცვლებოდა, მრავალ ხერხს მიმართავდენ: ხან უტევდენ, ხან თავს იცავდენ, ხან თხოვდენ, ხან მოითხოვდენ! ამ ყოველდღიურ ბრძოლას შეალია ამ ბრწყინვალე თაობამ თავისი დიდი ჭკუა, ნიჭი და ბრძოლის უნარი, — და ეს ჯერ კიდევ სათანადოთ არაა დაფასებული!

რაზედ არ ზრუნავდა ეს თაობა? — „ივერია“, რომელსაც ილია ჭავჭავაძე 25 წელიწადი ხელმძღვანელობდა, რას არ ეხებოდა? რა არ შედიოდა მის პროგრამაში? რა საკითხებზე არ იტეხდენ თავს? „ივერიის“ პროგრამაში შედიოდა: საქართველოს მიწა-წყალის, ენის, სკოლის, სარწმუნოების დაცვა; სოფლის მეურნეობის განვითარება — „გლეხი არის ჩვენი მარჩენალი, გამომკვები სულიერი“; — სავაჭრო ამხანაგო-

ბათა დაარსება, სოფლის მეურნეობის ნაწარმოებთა გასაღება ჩარჩენების გარეშე, დეპოკასსების დაარსება; დროებით ვალდებულთა მესაკუთრეებად გადაქცევა; ერობისა და ნაფიცმსაჯულთა დანაწესების შემოღება, ადმინისტრატიულ თვითნებობასთან ბრძოლა; ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება და სხვა და სხვა, ცხოვრების ყოველი დარგში. ასეთი იყო ილია ჭავჭავაძის პროგრამა და ეს იყო მისი მთავარი საზრუნავი საგანი. იგი ზრდიდა და ამზადებდა ერს თავისუფლებისათვის არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც.

ამავე ხანაში იწყება უკვე სრულიად ახალი მოძრაობა თავისი მიმართულებითა და სულით. ესაა ნაროდნიკული, რევოლუციური მოძრაობა, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული თვითმპყრობელობის დამხობა და სოციალური რევოლუციის მოხდენა!

აღსანიშნავია და ბუნებრივიც, რომ თვითოული კულტურული თუ პოლიტიკური მიმართულება, რომელსაც ჩვენში გზა გახსნია, თავადაზნაურთა წრეებიდან გამოდიოდა. თავადაზნაურობა თავისი მდგომარეობითა იყო ერთად ერთი, ვინც კულტურისა და პოლიტიკის დროშას ატარებდა; ამ შემთხვევაში, უკანასკნელ დროს, მას მიემატა, ძველ ისტორიაში ფრიად დიდი კულტურის დამსახურებელი, სამღვდელოებაც. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ თავადაზნაურთა შვილები იყვენ ისინი, ვინც სოციალისტური აზრების ქადაგება და მისთვის ბრძოლაც დაიწყეს. ესენი იყვენ: ალ. ციციშვილი, ალექსანდრე და ლევან მაყაშვილი, ლევან და ივანე ჩერქეზიშვილი, ანდრია, მიხეილ და ლუარსაბ ერისთავი, გრიგოლ ავალიშვილი, დარიკო, ერინა, იორამ ჯორჯაძე, ჩოლოყაშვილი, ვაჩნაძე, მარიამ შერვაშიძე, მელიტონ და ივანე ნაკაშიძე, — მიშო ყიფიანი (დიმიტრი ყიფიანის ძმისწული), ოლლა ყიფიანი, დავით თარხან - მოურავი, გაბაშვილი, ანტონ და კირილე ლორთქიფანიძე, ივანე ჯაბადარი, რომანოზ ფავლენიშვილი, ეგნატე, იაგორა იოსელიანი, მიხეილ ასათიანი, ბესარიონ ლოლობერიძე, დ. აბდუშელიშვილი, ალ. მარღანია, დათიკო, ისაია, ანტონ ფურცელაძე, ნიკ. ჩიკოიძე, გიგო შარაშიძე, ივანე მესხი, კონსტ. ჩიჩუა, ისიდორე ქიქოძე, გიორგი ზდანოვიჩი, დავით კეზელი, ნიკო ნიკოლაძე, იოსებ ცხვედაძე, საფაროვის ქალები, ალექსი ჭიჭინაძე, თეიმურაზ ლეჟავა, ალექს. ნანეიშვილი და სხ.

(და ბედმა ასე ინება, რომ იმერეთის მეფის ჩამომავალი, პარიზის პარიკადებზე მუშებთან ერთად იბრძოდა პარიზის კომუნისათვის, სადაც მან გმირულად დალია სული!)

მაშ დავსვათ საკითხი: რა მატერიალური და ზნეობრივი უფლების

მიხედვით სწერს ბ-ნი ნ. ჟ. თავადაზნაურობისა და კერძოდ ჩვენს საზოგადო მოღვაწეთა შესახებ ასეთ ბოროტ ცილისწამებას, თითქო ეს თავადაზნაურობა, ეს საზოგადო მოღვაწენი ფეოდალური პოლიტიკის გზაზე დადგენ, ესე იგი, კერძო ინტერესები, — ოჯახურ-წოდებრივი, — ერის ინტერესებზე მაღლა დააყენეს?!

ჩვენ აქ თავადაზნაურობის დამცველად არ გამოვდივართ! ჩვენ ვიცავთ ქართულ ისტორიას, მის პატივს; ჩვენ ვიცავთ ჭეშმარიტებას; ჩვენ ვიცავთ მწერლობის ეთიკას!

ეხლა იმ მოვლენის შესახებ, რომელსაც ბ-ნი ნ. ჟ. ასე დემაგოგიურად ხმარობს ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ. საქმე ეხება 1894 წ. ნიკოლოზ მეფის ტახტზე ასვლას. ამ დროს "ივერია" გამოდიოდა. რა უნდა დაეწერა მას? ტახტზე ასვლისას გაზეთს რა უნდა დაეწერა? — ძირს ნიკოლოზ-ს ხომ ვერ დასწერდა? მან უსურვა ახალ მეფეს, რომლისაგანაც მთელი რუსეთი ახალ რამეს მოელოდა, მრავალჟამიერი! მხოლოდ დემაგოგიური მიზნით შეიძლება ამაზე კორიანტელის ატეხა და მისი ფეოდალურ პოლიტიკად გამოცხადება! მაგრამ ამ ამბავს თან ახლავს საინტერესო საკითხიც. ეს შეეხება რუსეთის მეფისა და საქართველოს დამოკიდებულებას, როგორც იგი უფლებაში გამოიხატებოდა.

რუსეთის იმპერატორის ქართველთა მეფობის ამბავი მოგონილი და ფანტაზიის ნაყოფი არა ყოფილა! რუსეთის იმპერატორის ტიტულში რუსეთის იმპერატორი მოხსენებული იყო, როგორც „ცარ გრუზიი" და საიმპერიო ბეჭედზე ამოჭრილი იყო „ცარსტვო გრუზიის" ბეჭედიც (აგრეთვე ბანკის ფულზე). — დღესაც კი, ამ 1934 წ., ერთა ლიგის დამხმარე ქართული საზოგადოების გამოცემაში (ნომერი მეორე) ბ-ნი გიორგი გვაზავა ამ ფაქტს ვითარცა პოლიტიკურ საბუთს იყენებს და ამბობს, რომ საქართველო რუსეთის იმპერიაში იყო როგორც პოლიტიკური ერთეულიო! რაა ამაში დასაძრახისი ან გასაკილავი!? ეს მართლაც პოლიტიკური საბუთი იურიდიული საბუთი იყო და მისი გამოყენება შემთხვევის დროს შესაძლებელი. ილია ჭავჭავაძემ ეს კარგად იცოდა, და ამიტომ ახალგაზრდებს ურჩევდა(როგორც ეს უთხრა არჩილ ჯორჯაძეს): თქვენ, ახალგაზრდებო, არ უნდა დაივიწყოთ, რომ რუსეთის იმპერატორი საქართველოს მეფეც არისო. მაგრამ ილია ჭავჭავაძეს განა ის ავიწყდებოდა, რომ (მისი სიტყვებია!) „კანონი ჩვენი ქვეყნის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა კრებულისაგან უნდა იწერებოდეს"-ო?!

რას სწერდა ასეთ უცნაურს "ივერია", რომ ბ-ნი ნ. ჟ. დღეს ასეთ ნაცარტუტას ადენს?! აი რას:

— „ქართველობა აღიარებს თავის მტკიცე ერთობას და ერთგულებას რუსეთისას და ჩვენი ხელმწიფე იმპერატორისა"-ო.

ხელმწიფე იმპერატორის შესახებ ჩვენ უკვე მოგახსენეთ, თუ როგორი ვითარება იყო; ხოლო, რაც პირველ წინადადებას შეეხება, ამის გამო ჩვენ მოგვიხდება ზოგიერთი მასალის გაცნობა.

ნათქვამი: საქართველო აღიარებს მტკიცე ერთობას და ერთგულებას რუსეთისასო, — არც ერთი წრისათვის მაშინ არ იყო უცხო. ვინაიდან საქართველოში არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური დარაზმულობა, რომელიც რუსეთთან ერთობაზე და რუსეთის ერთგულებაზე ხმამაღლა უარს აცხადებდა.

ან კი იყო ეს შესაძლებელი?

ჩვენ ვიცით, რომ ქართული პოლიტიკური თავისუფლებისათვის იღწოდენ, სიტყვით და კალმით, ციხეში მყოფ ნესტან-დარეჯანის განთავისუფლებას ეტრფოდენ, იყო პოლიტიკური და ლიტერატურული რომანტიზმი, იყო ოცნება, მაგრამ არც პობები და არც მომზადება ჯერ საკმაო არ იყო, რომ პოლიტიკური ბრძოლა გაეჩაღებინათ. ჩვენ ვიცნობთ მეამბოხე და რევოლუციონერ ახალგაზრდა დავით კეზელის კერძო წერილს სოფლიდან, რომლითაც იგი ამხანაგს ეკითხება: არ მიდიან რუსები საქართველოდანო?, და ვიცნობთ დავით მიქელაძეს (მეველეს), ჟურნალისტსა და სეპარატისტს. თუ არ იყო ღია ან არაალეგალური პოლიტიკური დაჯგუფება საქართველოს დამოუკიდებლობის გარშემო, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, თითქო ეს აზრი მკვდარი იყო. უეჭველია და არც სადავოა, რომ სეპარატისტული მიმდინარეობა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის-გრძნობა, სამშობლოს განთავისუფლების აზრი არსებობდა (ჩვენ არ ვეხებით აქ ქართულ ლიტერატურას, რომლის მთავარი მოტივები სწორედ ეს იყო). სამშობლოს განთავისუფლების ამ გრძნობას პოლიტიკური ბრძოლის ხასიათი არ მიუღია. ქართველების ამ განცდას რუსის მთავრობა ძალიან კარგად იცნობდა და ამიტომაც მეფისნაცვლები, მთავარმართებლები და გუბერნატორები თავის საიდუმლო მოხსენებებში მთავრობას დაჟინებით აცნობებდენ (ქართველი ხალხის ლანძღვა-გინებასთან ერთად), რომ, ქართველი ხალხი სანდო არ არის; რომ იგი საქართველოზე ოცნებობს; რომ ნდობის ღირსი არაა განსაკუთრებით ინტელიგენცია, რომელიც სეპარატისტულია; და რომ „მაღალი წრეებიც, რომელნიც გარეგნულად დიდი ერთგულებით ეპყრობიან თვითმპყრობელობას, საეჭვო“ არიანო!

ერთგვარი აკტიური გამოხატულება ამგვარმა განცდამ ჰპოვა 1892 წელს დაარსებულ „საქართველოს განმათავისუფლებელ ლიგაში“, რომლის წევრები ორგანიზაციის თითქმის წამოწყებისათანავე დაჭერილ იქმნენ. — ჩვენ არ შეგვიძლია აღუნიშვნელად დავტოვოთ აგრეთვე ერთი მეტად საინტერესო ამბავი. ესაა პროკლამაცია, გამოცემული

„რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ტფილისის კომიტეტის განყოფილების“ სახელით 1901 წელს, სეკტემბრის 4-ს და იწყება ასე: — „რუსეთის მთავრობა და ქართველი გენერლების და თავადაზნაურობის — ხაზინის მძარცველების — ერთი ჯგუფი დიდი ამბით დღესასწაულობს საქართველოს ასი წლის დამონებას იმ დროს, როდესაც ქართველები დასტირიან თავიანთ მეფეების ბედს, რომელნიც რუსეთის მთავრობის მიერ განდევნილ იქმნენ ოსმალეთში და იქ იღუპებოდენ; ქართველები დასტირიან თავიანთ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, რომელიც მოღალატურად წაართვა მას ამ ხელისუფლებამ; მაშინ, როდესაც ქართველი ხალხი იტანჯება მიწის სიმცირის გამო, რადგან ეს მიწა მიითვისეს რუსეთის თავადებმა, იტანჯება პოლიციის თვითნებობით და უმეცრებით, აუტანელ გადასახადებით, — ამ დროს რუსეთის მთავრობა აწყობს დღესასწაულს მის მიერ დაღუპულ ცხედრებზე“ და სხვა.

საეჭვოა, ეს პროკლამაცია ეკუთვნოდეს სოციალდემოკრატიულ პარტიას, მაგრამ ეს საკითხი, ისტორიული სიზუსტის მნიშვნელობისათვის საინტერესო, ჩვენთვის საყურადღებოა, როგორც პოლიტიკური გამოსვლა და პოლიტიკური აქტივობა, რომლითაც ერთი მხრივ ნასაყვედურებია თავადაზნაურობის „ერთი ჯგუფი“ , „საქართველოს ასი წლის დამონების“ თავზე ზეიმში მონაწილეობის მიღებისათვის, და მეორე მხრივ, იმის აღნიშვნით, რომ ქართველები „დასტირიან თავიანთ დამოუკიდებლობას“ და „დაღუპულ მეფეთა“ ბედსო!

სიტყვამ მოიტანა და ამიტომ აღსანიშნავია აგრეთვე „ქართველ დემოკრატთა კომიტეტის“ მიერ გამოცემული პროკლამაცია (1901 წ. 28 სეკტემბერს), რომლითაც იუბილეში მონაწილე თავადაზნაურობა სასტისად გაკიცხულია და ნათქვამია: რუსეთის მეფის „მანიფესტმა სასაცილოდ აიგდო თავადაზნაურობა და დაამცირა და შელახა ხალხი. ვისაც შერჩა თავადაზნაურობაში პატიოსნება, თავისი ღირსება, დღეიდან რუსეთის მთავრობის მტერი უნდა შეიქმნეს. იგი გამოფხიზლდება და დაინახავს, რომ მთავრობათან კავშირი არამც თუ სამარცხვინოა, დამღუპველი და დამამხობია. ქართველი ხალხი კი, მუშა და გლეხი, სამუდამოდ დარწმუნდა, რომ ბრძოლის ველზე უნდა გამოვიდეს და მტერს გაუმკლავდეს. ხალხმა გაიგო, რომ მას სდევნიან, როგორც შრომელს და როგორც ქართველს. და ამისათვის იგი მზად უნდა იყოს დაიცვას თავისი ხალხური და ქართველური ინტერესები. ხალხის კეთილ ღღეობა მოითხოვს, ქონება-შეძლების უთანასწორობის შოსპობას და დემოკრატიულ საზოგადოების დაფუძნებას. ხალხის კეთილდღეობა მოითხოვს საქართველოს პოლიტიკურ თავისუფლების აღდგენას, რადგან უმთავრესი მიზეზი ჩვენი დაქვეითებისა არის რუსეთის მთავრობის გა-

ბატონება საქართველოში, იმ მთავრობისა, რომელიც ქართველ ხალხის მოსპობას ლამობს. ქართველობამ მტკიცედ უნდა დაიმახსოვროს ეს და ემზადოს ხალხურ-ეროვნულ ინტერესების დასაცავად"...

რასაკვირველია, რუსეთის მთავრობასთან ბრძოლა იოლი არ იყო. — ჩვენ ვერ მივიღეთ და ვერ გავატარებიეთ საჭირო რეფორმები, არ მოგვანიჭეს უნივერსიტეტი, ნაფიცთა სამსჯავრო, დანარჩენი ბევრი სხვა რამ, მაგრამ ამის გამო ბრძოლა არც ილია ჭავჭავაძეს და არც სხვას არ შეუჩერებია.

"მოქალაქენო! დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც თვითმპყრობელ რუსეთთან საქართველოს შეერთების 100 წლის თავის დღესასწაული (100 ათას ჯარისკაცთა მფარველობის ქვეშ, რომელნიც შემოკრებილ იყვნენ ტფილისის გარშემო) დაარღვია დუშეთის თავადაზნაურობის წინამძღოლმა უადგილო თხოვნით, რომ ასი წლის შემდეგ მაინც გახსინილი ყოფილიყო მაზრაში ერთი სკოლა. მარშალი აღნიშნავდა, რომ ქართველი ხალხის განათლებაზე არავინ ზრუნავს"-ო.

ასე იწყება პროკლამაცია, რომელიც გამოსცა სოციალდემოკრატიული პარტიის ტფილისის კომიტეტმა 1902 წლის იანვრის 12-ს... ბ-ნ ნ. ჟ.-ს ეს ამბავი ალბად აღარ ახსოვს. ჩვენ ამის მომსწრე არა ვართ, მაგრამ გვსურს მაინც ვიცოდეთ: — საქართველოს რუსეთთან „შეერთების" ასი წლის თავზე გამართულ დღესასწაულის დროს, — რა საჭირო იყო ეს ასი ათასი რუსი ჯარისკაცი ტფილისს რო შემოარტყეს? და როგორ გაბედა დუშელმა მარშალმა ასეთი, დღესასწაულის ჩამაშხამებელი, თხოვნით მიემართა? ესეც „ფეოდალური პოლიტიკის" გაგრძელება იყო? ესეც ოთხი სტიპენდიის ამბავია?!

ჩვენ არ გვავიწყდება ის ფრიად ღირსმნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ამ დღესასწაულის გადახდის ოთხი წლის შემდეგ იგივე თავადაზნაურობამ შესაფერი და ღირსეული პოლიტიკური ნაბიჯიც გადადგა, როცა ამას გარემოება მოითხოვდა. ეს მოხდა როგორც ტფილისში, ისე ქუთაისში. ჩვენ ხელთა გვაქვს მხოლოდ ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრების დადგენილება საქართველოს ეროვნული საკითხის შესახებ, დადგენილება, რომელიც ნიკოლოზ მეფეს წარეგზავნა. ამ ისტორიულ დოკუმენტზე ხელისმომწერი ბ-ნი სვიმონ წერეთელი აქ, ჩვენს ემიგრაციაში გარდაიცვალა. აი ეს საბუთიც: —

„ქუთაისის გუბერნიის ქართველ თავადაზნაურობას პირველად ეძლევა იმედი, რომ მალე განხორციელდება ქართველი ერის სურვილი და სასოება შესახებ თავისუფალ შინაურ თვითმართველობისა, რომელიც საფუძვლად ჰქონდა დადებული ერთმორწმუნე რუსეთთან სა-

ქართველოს ნებაყოფლობითს შეერთებას. ქუთაისის გუბერნიის ქართველი თავადაზნაურობა რუსეთის მოძმე ერთან ერთად აღფურვილია საერთო რუსეთის სახელმწიფოს კეთილდღეობისადმი მისწრაფებით და ღრმად დარწმუნებულია, რომ ახლოა ის დღე, როდესაც თავისუფლად არჩეულნი მთელის რუსეთის ხალხის წარმომადგენელნი შეუდგებიან რუსეთსა და მის განაპირა ქვეყნების მართვა-გამგეობის საქმეთა სასურველად მოწესრიგებას. ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობა უერთდება ტფილისის თავადაზნაურობის მიერ შემუშავებულ უქვეშევრდომილეს ადრესში გამოთქმულ სურვილს, და თავის წმინდა მოვალეობად სთვლის გამოსთქვას შეურყეველი რწმენა, რომ ქართველი ერის დაწყნარებისა და მის მშვიდობიან, კულტურულ განვითარებისათვის ერთად ერთი საშუალება ის არის, რომ საქართველოს, — რომელიც შესდგება ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებისაგან, ბათუმის მხარისა, სოხუმისა და ზაქათალის ოლქებისაგან, — მიენიჭოს უფლება თავისი შინაური საქმეები განაგოს ისეთის კანონებით, რომელსაც დაადგენს ხალხის წარმომადგენელთა კრება, არჩეული საქართველოს ყველა მცხოვრებთაგან, საზოგადო, ფარულ, პირდაპირ და თანასწორ კენჭის ყრით"...

დემაგოგებისათვის ადვილი სათქმელია: მერე რა მოხდა: ეს დეპეშა 1905 წლის 14 აპრილს გააგზავნეს, მაშინ ხომ რევოლუციის ხანა იყო? და სწორედ, როცა ამისი საშუალება ქართველ თავადაზნაურობას მიეცა, მან არ დააყოვნა და პირველ რიგში არა თავისი წოდებრივი ან თვითმართველობა. ხომ შეეძლო არაფერი ეთქვა, ან ეთქვა პირიქით? ვინ აძალებდა მას ეს ნაბიჯი გადაედგა?! ხომ შეეძლო ხმაც არ ამოეღო ან პირიქით ექმნა და კვლავ, ტრადიციულად თავისი მორჩილება გამოეცხადებია?! მაგრამ არა, — როცა ეს მან საჭიროდ დაინახა, სთქვა და გააკეთა კიდეც. ამ დროს კი ჩვენში გაცხრებული ბროლა იყო ამ ავტონომიის წინააღმდეგ და ამ ბრძოლას ბ-ნი ნ. ჟორდანია ხელმწყვანელობდა ბ-ნ ფილიპე მახარაძესთან ერთად! ისტორია დღეს ამბობს, თუ მათ შორის ვინ იყო მართალი: ილია ჭავჭავაძე, რომელიც დღეს საქართველოში და ემიგრაციაში გაცოცხლდა და აღსდგა, თუ ბ-ნი ნ. ჟორდანია და ფილიპე მახარაძე, რომელნიც საქართველოშიც და ემიგრაციაშიც ცოცხლად მკვდრები არიან!

ისტორიის სინამდვილიდან ჩვენ არაფერს ვივიწყებთ და იმასაც ვამბობთ, რომ ქართველ თავადაზნაურთა შორის იყვენ ისეთებიც, რომელნიც ქართულ ეროვნულ ინტერესებზე არ ზრუნავდენ, მაგრამ განა ქართული საზოგადოება მათ თავზე ხელს უსვამდა?! თუ ებრძოდა მათ? გავიხსენოთ ერთი ფაქტი: — პეტერბურგში თავადაზნართა დეპუტა-

ტებმა იმპერატორს კონვოიცებისათვის ვენზელები სთხოვეს და მიიღეს კიდეც! ქართული საზოგადოება აღელდა და აღშფოთდა. ან როგორ არ უნდა აღშფოთებულიყო, როცა იმავე დროს პოლონელებმა პოლონური ენის უფლება მოითხოვეს! ეს მოხდა ოთხმოციან წლებში და ილია ჭავჭავაძე ჩვენს დეპუტატებს პრესაში ანადგურებდა, ქვა-გუნდას აყრიდა და ბოლოს თვით საზოგადოებას ამტყუნებდა და სწერდა: — „კვლავ თუ გვინდა, რომ ჩვენებმა ჩვენთვის იზრუნონ, თვითამორჩევას თავი დავანებოთ და საზოგადოებრივ ამოვირჩიოთ, ჩვენი სურვილი განვუცხადოთ და ისე გავგზავნოთ, სადაც გასაგზავნია; თორემ არ ვიცით, ვინ წავიდა, სად წავიდა, რისთვის წავიდა". (1881 წ. მაისი).

ილია ჭავჭავაძე და მისი თაობა გააფთრებით ებრძოდა თავადობის იმ მცირე, მაგრამ შეძლებულ და გავლენიან ნაწილს, რომელიც ქართულ საზოგადო საქმეში მონაწილეობას არ ღებულობდა და სხვათა შორის მათ შესახებ სწერდა: — ვინც საზოგადო საქმეებს „ზურგს შეაქცევს, თავის საკუთარ ვინაობას უარჰყოფს, თავის ადამიანურ სახეს შეურაცჰყოფს და არარად აქცევს"...

მრავალი სხვა საბუთის მოტანა შეიძლებოდა ყველა დანარჩენ საზოგადო მოღვაწის ცხოვრებიდან იმის დასამტკიცებლად, თუ რაოდენ ყალბია ბ-ნ ნ. ჟ.-ს დებულება, მაგრამ დღეს ესეც საკმარისია.

ჩვენ დავინახეთ, რომ თავადაზნაურობაში, რომელიც მთელი მეცხრამეტე საუკუნის გასწვრივ ქართველ ერს ხელმძღვანელობდა, როგორც ძველად, რამოდენიმე მიმართულება სუფევდა და ამ რამოდენიმე მიმართულებას თავისი საკუთარი ეროვნული ტაქტიკა გააჩნდა.

ცხოვრება არ ეტევა კაბინეტში გამომუშავებულ და ზეპირად მოფიქრებულ შაბლონურ აზრებში, — იგი ვერ ითმენს მეჯღანესაგან შეკერილ არტახებს, — და თავისი მრავალგვარობითა და მრავალმხრივობით ყოველ დოგმას სთელავს, არტახებს ჰგლეჯს.

ჩვენ დავინახეთ, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ქართველი თავადაზნაურობის ერთი ნაწილი მხარს უჭერს რუსეთს, მისგან გამოელის ქართველი ერის ხსნას; მეორე ნაწილი არ იზიარებს რა ამ შეხედულებას, მოითხოვს ტრაქტატის განაღდებას და საქართველოს შინაური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას; მესამე ჩერდება კომპრომისულ ფორმულაზე და გამოსავალს ეძებს ახალ ხელშეკრულებაში; მეოთხე ქადაგებს რესპუბლიკის დაარსებას; მეხუთე, იარაღით ხელში, რუსეთს ებრძვის და ქართული სამეფოს უფლებებს იცავს. ყველაფერი ეს იმით დამთავრდა, რომ რუსეთი გახდა ბატონი საქართველოში იარაღით: რასაკვირველია, იარაღს იარაღი დაუპირისპირდა, გარნა ყველა აჯანყება დამარცხდა, და ბრძოლის ტაქტიკაც შეიცვალა. ახალი ტაკ-

ტიკა იყო — ეროვნულ-კულტურულ ფრონტზე ბრძოლის წარმოება. ასეთია მუშაობა 1840 - 60 წ.წ. შემდეგ.

შემდეგ. იგივე თავადაზნაურობა, რომელსაც მიემატა ინტელიგენ-ცია სხვა ფენებიდანაც, იყოფა რამოდენიმე ეროვნულ ფრონტად: 1) ერთი ნაწილი ძველ გზას განაგრძობს: რუსეთთან საბოლოოდ შერიგებული, მხოლოდ კულტურულ მუშაობას ეწევა; 2) მეორე ნაწილი, აგრედვე რუსეთან შერიგებული, ეროვნულ-პოლიტიკურ პროპაგანდას ეწევა და სამშობლოს თავისუფლებისათვის მხატვრული თუ პუბლიცისტური სიტყვით მოღვაწეობს და „საქართველოზე ოცნებობს". 3) მესამე ნაწილი რევოლუციურ მუშაობაზე გადადის, რუსეთის ტახტის დანგრევისათვის იღწვის და სოციალური რევოლუციის მოხდენას ეტრფის; 4) მეოთხე ნაწილი და მეტად მცირე, უკვე გარუსებულია და ეროვნულად გადაგვარებული; 5) ეს ნაწილი არავითარ საზოგადო საქმეში არ ერევა და ეროვნულ სასწორზე როლს არ თამაშობს; 6) იყვენ პირები და ოჯახები, რომელნიც რუსეთისაგან გამოყოფისა და დამოუკიდებლობის აზრს თავს დაჰფოფინებდენ; 7) იყვენ პირები და ოჯახები, რომელნიც ტრადიციულად რუსეთის ბოიკოტს განაგრძობდენ; 8) უკანასკნელ პერიოდში იყო გარკვეული პოლიტიკური მიმდინარეობაც, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა; 9) და მთელი ქართული გრძნობა და განცდა რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული, „საქართველოზე ოცნებობდა"!

აი რამდენად რთულია ეს ხანა, ხანა ,რომელიც რომელიმე ერთ კალაპოტში არ ეტევა, რომელიმე ოცნებით შექმნილ ჯარდაკში არ მოთავსდება და მით უმეტეს ბ-ნ ნ. ჟ.-ს მიერ აკვიატებული აზრის ყალიბში! — ბ-ნმა ნ. ჟ.-მ მთელ ამ ისტორიას ერთ ფორმულაში უკრა თავი: თავადაზნაურობა და ჩვენი საზოგადო მოღვაწენი ფეოდალურ პოლიტიკა ეწეოდენო! ყველაფერი ეს ბ-ნმა ნ. ჟ.-მ იმიტომ მოიმოქმედა, რომ თავის მოღვაწეობას ქებადიდება შეასხას, საკუთარ თავს გუნდრუკი უკმიოს.... მორცხვია ბნი ნ. ჟ. , იგი თავი თავს არ ასახელებს, მკითხველმა უნდა დაასახელოს იგი!

ბ-ნმა ნ ჟ.-მ გაანადგურა რა მთელ წარსულ თაობათა ბრძოლის რაობა, დასახა რა იგი ფეოდალურ პოლიტიკად, დიდება უგალობა რევოლუციურ მოძრაობას, მის ხელმძღვანელებს, თავის თავს, და აღნიშნა, რომ — „ეს მოძრაობა პირველი რევოლუციით სასიკვდილოთ სჭრის ტახტს, ხოლო მეორეთი მას სავსებით ანგრევს და მასთან ერთათ ანგრევს ტახტთან დაკავშირებულ დრომოჭმულ ეკონომიურ და პოლიტიკურ წყობას". აი სწორედ ამ მოვლენის გამო, როგორც ამბობს, ბ-ნი ნ. ჟ. „ფეოდალური პოლიტიკა ეცემა, ხალხური იწყება"...

დავანებოთ თავი იმის გარკვევას, თუ რევოლუცია რა მიზეზით მო-

ხდა ან როგორ მოხდა, ესეც სადავო საკითხია, მაგრამ დავუგდოთ ყურადღება, რას ბრძანებს ბ-ნი ნ. ჟ. როგორ ეროვნულ გვირგვინს იდგამს თავისი ხელით! იგი სწერს: — „ამნაირათ, რევოლუცია და დემოკრატია გახდა იმ საშუალებათ, რომელმაც გაარღვია ჩვენს ირგვლივ შემოვლებული საგარეო რკალი, გამოიყვანა ერი იტორიულ ჩიხიდან და დაუბრუნა მთლიან ნაციონალურ და სახელმწიფოებრივ პოლიტიკას. თუ ჩვენი ისტორიის კლასიკურ პეროდში ამ პოლიტიკას მეთაურობდენ დიდი მეფენი, ახლა მის მეთაურათ დადგა ქართველ ხალხი, გამოღვიძებული და შეკავშირებული ქართველი ერი. — იშვა საქართველოს ნაციონალური საგარეო პოლიტიკა.“

აი რას სწერს დღეს ბ-ნი ნ. ჟ., ოღონდ ჩვენ კი გვახსოვს, თუ რა სთქვა ბ-ნმა ნ. ჟორდანიამ 1917 წ. ეროვნულ ყრილობაზე, გახურებული რევოლუციის დროს: — „ცხადია, რომ ჩვენ იმავე ნიადაგზე ვრჩებით, რომელზედაც ჩვენ წინეთ ვიდექით, სახელდობრ, რუსეთის ერთიანობის ნიადაგზე... ჩვენი ორგანიზაცია რჩება წინანდელი და ჩვენ განვაგრძობთ დგომას რუსეთის მთლიანობის ნიადაგზე“...

ჩვენ არც ის დაგვიწყებია, თუ რას სწერდა იგი რევოლუციამდე. აი რას: — (ხაზი ყველგან ჩვენია) — „მეცხრამეტე საუკუნის ისტორია არის ისტორია ჩვენი განვითარების, გაქალაქების, მუდმივი შეუჩერებელი წინმსვლელობის და კულტურულათ ამაღლების. **და ყველა ეს მოხდა არა ნაციონალური კლასის დროშის წინამძღოლობით, არამედ გარეშე ძალის, რუსეთის მეთაურობით. ამით აიხსნება ანტირუსული მიმართულების უნიადაგობა ჩვენში!.. ქართული გლეხობა, ბურჟუაზია და მუშა არ ვითარდება ნაციონალური გზით. ამიტომ მათი ნაციონალური თვითგარკვევა არ შეიძლება იყოს მიმართული წინააღმდეგ უცხო პოლიტიკური და ეკონომიური ძალისა. პირიქით, ეს თვითგარკვევა აუცილებლათ უნდა იყოს და კიდევაც არის ინტერნაციონალური ე. ი.** საერთო პოლიტიკა და საერთო ეკონომია — აი ქართველობის ახლანდელი დროშა. ეს ერთობა, რააკვირველია, სხვა და სხვა კლასს სხვა და სხვანაირათ ესმის. მუშა და გლეხი უერთდება სხვა ერის მუშას და გლეხს თავისი პოლიტიკური და ეკონომიური უღლის შესამსუბუქებლათ, ხოლო ბურჟუაზია მუშათა მოძრაობის დასათრუგნავათ იძულებულია შეუერთდეს სხვა ერის ბურჟუაზიას“...

როგორ მოგწონთ ეს მკითხველო?

ჩვენ ამ საკითხზე აღარ შევჩერდებით. ჩვენ მას შევეხეთ წერილში: „ქართული მარქსიზმი და ეროვნული საკითხი“, და საბუთებით, ისტორიულ მოვლენათა ანალიზით გავარკვიეთ, თუ სოციალდემოკრატიული პარტიის მიზანი და ტაქტიკა ეროვნულ საკითხში როგორი იყო, ოღონდ ერთს მაინც ვიტყვით აქ, თუნდ ეს განმეორებაც იყოს —

იმ ფაქტში, რომ ქართველი ერი დაუბრუნდა "მთლიან ნაციონალურ და სახელმწიფოებრივ პოლიტიკას", ბ-ნმა ნ. ჟ.-მ მხოლოდ უარყოფითი როლი ითამაშა და მთელი თავისი ძალღონით მისი მოვლენის წინააღმდეგი იყო, და თუ ქართველმა ერმა თავის უფლებათა მოპოვებას მიაღწია, ამაში ყველაზე ნაკლები წილი ბ-ნ ნ. ჟ.-ას და სოც.დემ. პარტიას მიუძღვის. და როდესაც სოც.დემოკრატიამ ბრუნდი თუ მართალი გზით ერის ხელმძღვანელობა ბ-ნ ნოე ჟორდანიას ჩააბარა, მან ქართველი ერის საქმე ბრიყვულად დაჰკარგა და ერი დაღუპა.

ისტორიამ სისხლის აღება და შურისძიება იცის. ბ-ნ ნ. ჟორდანიას რა ჰქონდა დათესილი, რომ მოემკო!?

შემდეგ წერილებში ბ-ნი ნ. ჟ. ეხება დამოუკიდებლობის დაკარგვის და საერთოდ კავკასიის ამბებს, მაგრამ ჩვენ ამაზე არ შევჩერდებით. ჩვენ განზრახვა გვაქვს კავკასიის საკითხებს განსაკუთრებული ნარკვევი მივუძღვნათ და მის დებულებებსაც იქ შევეხებით.

ვიკ. ნოზაძე

პარიზი, 1934 წ. დეკემბერის 19.

ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

თანამედროვე კრიზისის განსამარტებლად და მისი მიზეზობრივი კავშირის დასადგინებლად მეტად გავრცელებულია ფრიად მდაბიო შეხედულება, რომლის მიხედვით, ერთი მხრივ, დაგროვილი საქარხნო ნაწარმოები შემსყიდველ უნარიანობას არ შეეფერება, და მეორე მხრივ, სასოფლო მეურნეობის ნაწარმოები გასავალს ვერ პოულობს. კრიზისის მიზეზის ასეთი ახსნა დამაკმაყოფილებელი არ არის. ჩვენ არ შევუდგებით კრიზისის თეორიების საკითხს, რომელიც თავისთავად მეტად საინტერესოა, ხოლო ვიტყვით, რომ ზემოხსენებული, დღეს ჩვეულებრივი თეორია, კრიზისის ახსნა და მისი განმარტება კი არ არის, არამედ თვით კრიზისის ფაქტის აღნიშვნა. მართლაც, საქარხნო ნაწარმოებით გაჭექილია საწყობები და საქონელი მუშტარს ვერ პოულობს; სოფლის მეურნეობის ნაყოფი გაუნძრევლად სძევს და მომხმარებელს ვერ სწვდება; ფასები დაცემულია და მრავალი მილიონი მუშა უსაქმოდ დარჩენილი. ეს სინამდვილეა. მაგრამ ეს სინამდვილე დღეს უკვე ვეღარ აიხსნება ჩვეულებრივი საკრიზისო, მოსაწონი თუ დასაწუნი, თეორიით.

კრიზისების ისტორიას უბრალოდ თუ თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ თანამედროვე სამეურნეო წესწყობილება — კაპიტალისტური მეურნეობა, რომლის ერთი დამახასიათებელი თვისებაა წარმოება ანარქიული, უგეგმოდ და განუსაზღვრელად მოგების მიზნით, მუდმივ და განსაზღვრული ხანის დასასრულს კრიზისს განიცდის: თითოეულ ალმართ წარმოებას დალმართი წარმოება მოსდევს; თითქმის ყოველი ათი წლის განმავლობაში მეორდება კაპიტალიზმის კრიზისი, და მას თან სდევს თითოეული ის შედეგი, რაც დღეს ყველას თვალწინ ღიად გადაშლილია. უმუშევრობა, საქონლის დაზვინვა, მსყიდველობითი უნარიანობის დაკარგვა და სხ. მაგრამ დღევანდელმა კრიზისმა თავისი სიღრმავითა და სიძლიერით ყველა წარსულ კრიზისს გადააჭარბა, — და ამ მოვლენას თავისი განსაკუთრებული მიზეზი აქვს. თანამედროვე კრიზისი არ არის მარტო ჩვეულებრივი კრიზისი, რომელსაც ეს სამეურნეო წესწყობლება განმეორებით განიცდიდა. იგი უფრო რთულია და მას კავშირი აქვს სრულიად ახალ მოვლენასთან.

წინანდელი ეკონომისტები, როდესაც კაპიტალისტური მეურნეობის ზრდა-გაფართოებას თვალყურს ადევნებდენ, იმ შიშს გამოსთქვამდენ, რომ მრეწველობა განვითარდება ყველა იმ ქვეყანაში, რომელიც დღეს მხოლოდ ბაზრადაა გადაქცეული, ევროპას დაეკარგება მისი ბატონური მდგომარეობა და მაშინ ევროპის მეურნეობა და საერთოდ მისი ცივილიზაცია განსაცდელში ჩავარდებაო. ეს წინასწარი მეტყველება თითქო გამართლდა კიდეც, მაგრამ უფრო ადრე და მალე, ვინემ ამას მოელოდენ. ამ განვითარების დაჩქარება მოხდა იმ დიდი მოვლენის გამო, რომელსაც მსოფლიო ომი ეწოდება.

მსოფლიო ომამდე, ევროპა გაბატონებული კაპიტალისტური მხარე იყო, — ოთხი დანარჩენი მატერიკი მის ბაზარს წარმოადგენდა და იმის მიუხედავად, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უზარმაზარი ნაბიჯებით სამრეწველო გზაზე მიექანებოდა, ჯერ კიდევ მაინც ბატონობის და უპირატესობის დაკარგვის შიში არ მჟღავნდებოდა. მსოფლიო ომმა ამ მხრივ მდგომარეობა შეატრიალა და დიდი კუთხით მოაბრუნა. ამ ომმა პირველად ის მოვლენა გამოიწვია, რომ ევროპის მრეწველობის გარეშე დარჩა მსოფლიოს დიდი ნაწილი, — ძველი ბაზრები ევროპას მოსწყდა, — და კიდევ მეტი — თვით ევროპა გახდა მისგან დამოკიდებული და დავალებული. ეს კიდევ ცოტაა: უარესი დატრიალდა!

ევროპის მრეწველობას ჰქონდა ზოგი და ბევრი ისეთი დარგი, რომელიც მის ხელში მონოპოლიას წარმოადგენდა. ომის გაგრძელებამ, საერთაშორისო დამოკიდებულებათა და ვაჭრობის კავშირების დაგლეჯამ აზია, ამერიკა და ავსტრალია (აფრიკა ნაკლებ) იძულებული გახადა ევროპის ამ ძველად მონოპოლურ მრეწველობისათვის ყურადღება

მიექცია და იგი ხელოვნურად განევითარებია. ჩვენ აქ სტატისტიკურ მეტად საინტერესო მასალებს არ გამოვუდგებით, მაგრამ ვითარების დახასიათებისათვის აღვნიშნავთ, რომ ევროპის მონოპოლური მძიმე ინდუსტრია და ქიმიური მრეწველობა, თვით საფეიქრო დარგიც კი, აზიაში მძლავრად განვითარდა და გაიზარდა. მსოფლიო ომის დროს დაწყებული ეს განვითარება მის შემდეგაც სწრაფი ნაბიჯით წინ მიდის და ევროპის ძველი და მაგარი ინდუსტრია ომის შემდეგ უკვე პირისპირ ეტაკება აზია-ამერიკის გაზრდილსა და მომაგრებულ ინდუსტრიას.

კაპიტალისტურ ჩვეულებრივ კრიზისთან ერთად ამ მოვლენას უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა. ევროპის საწყობები დატვირთულია — მომხმარებელი აღარ არის, უფრო სწორად მას აღარ სჭირდება ევროპიული საქონელი, მას თავისი საკუთარი აქვს და უფრო მეტიც; აზიას ეს თავისი საქონელი ევროპაში შემოაქვს და სიიაფით აქაურ ბაზრებზე დიდ აფორიაქებას იწვევს (დემპინგი). ევროპის მრეწველობა კი სახელმწიფოთა საზღვრებში მოემწყვდა და გამოსავალს ეძებს. წარმოების ფეხზე დასაყენებლად ტექნიკის უკანასკნელ ხერხებს მიმართავს, მაგრამ შედეგებს ვერ აღწევს. აქედან წარმოიშვა სახელმწიფოდან სახელმწიფოში საქონლის შეზიდვის შეზღუდვა განსაზღვრულ ოდენობაზე (კონტინგენტობა) და ოდენობის გაცვლა ბაზრის ტევადობის გულისათვის, რაც გაცვლითი მეურნეობას გვაგონებს, და აქედანვე წარმოიშვა ქვეყნის თვითდაკმაყოფილების (ავტარკია) ცდა — ესე იგი თვით ქვეყანამ უნდა აწარმოოს და მოიხმაროს, თავისი საქალაქო და სასოფლო მეურნეობა ისე გარდაქმნას და გადააჯგუფოს, რომ ყველა მოთხოვნილება თვით დაიკმაყოფილოს; (ამ მიმართულებით არის აგებული საბჭოთა ქვეყნების მთელი ეკონომიური სისტემის ცდაც).

ესაა დიდი და ახალი, ნორჩი ცდა, რომელსაც ჯერ პირი არ უჩანს. მაგრამ ამ ცდაზე უფრო ადრე დაიწყო უფრო რთული და ღრმა მოძრაობა კაპიტალიზმის ჩიხიდან გამოსაყვანად. ესაა კაპიტალიზმის გადაყვანა ახალ გზებზე; ამ გზების ძებნა დღესაც გრძელდება და ამ გადაყვანის ხერხები კიდევ საბოლოოდ გამოძებნილი არ არის. მაგრამ ის, რაც ხდება იტალიაში ფაშიზმის ეკონომიური პოლიტიკის მიმართულებით; ის, რასაც აკეთებს და რაც განზრახული აქვს ნაციონალ-სოციალიზმს გერმანიაში; ის, რა მიზანსაც ისახავს რუზველტი ამერიკაში, ან სხვა ხელმძღვანელები დანარჩენ ქვეყნებში, — ყველაფერი ეს გამოწვეულია მძაფრი წადილით: თანამედროვე კრიზისიდან გამოსავალი მონახონ.

ამ კრიზისთან დაკავშირებით და უმთავრესად მისი მიზეზით წარმოიშვა აგრეთვე პოლიტიკური კრიზისიც, რომელიც დემოკრატიისა და კონსტიტუციური წესწყობილების კრიზისთანაა გადაბმული და მასვე

ზედვე ერთვის საზოგადოების ცხოვრებისათვის და ურთიერთობისათვის უსაშინელესი საფრთხე — მორალური კრიზისი.

დღეს ევროპა სდგას მეტად საშიში ვითარების წინაშე. წინ არის აღმართული სფინქსი, გამოუცნობი და ბურუსით მოცული მომავალი! შეერყეულია ძველი საფუძვლები, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური და მორალური, და გამოსავალის ძებნაში ერთმანეთს ასკდება არა მარტო აზრი და ფიქრი, არამედ ძალა და მოქმედება.

ევროპა, რომელიც უკანასკნელ ათწლეულებში განსაცვიფრებელი სისწრაფით თავის ნივთიერ სიმდიდრეს ანვითარებდა, და ნივთი სათაყვანებელ არსებად გადააქცია და სულიერ - მორალურ განვითარებას უყურადღებოდ გადააბიჯა, — იქნებ მივიდა იმ მიჯნამდე, როცა მან უკან უნდა დაიხიოს და პირველობა სხვას დაუთმოს?

ევროპის თანამედროვე კულტურისა და ცივილიზაციის ისტორია არც ისე შორი მანძილისაა. მანამდე აღმოსავლეთი იყო, რომ კულტურით მთელ მსოფლიოს ხელმძღვანელობდა და ფლობდა. ევროპის კულტურისა და ცივილიზაციის ისტორია იწყება, იწყება მხოლოდ რენესანსის ეპოქით, მეხუთმეტე საუკუნედან, ხოლო მისი გამარჯვება მეთვრამეტე საუკუნედან, ეგრედ წოდებულ ინდუსტრიულ რევოლუციასთან დაკავშირებით, და ამ ორი უკანასკნელი ასეული წლების განმავლობაში იგი იყო უდავო ბატონი მთელ მსოფლიოში.

ისტორია თავის გზაზე რგვალ მოხვევას აკეთებს, ციკლებს მისდევს, და იქნებ ეხლა იწყება ის დრო, როდესაც ევროპის ცივილიზაცია და კულტურა ან უნდა დაიღუპოს, ან პირველობა აზიას დაუთმოს, იმ აზიას, რომელიც დღეს ჯანსაღად გრძნობს თავს და როგორც ტექნიკით ისე მორალით შეიარაღებული შეუჩერებლივ წინ მიიწევს!?

ვლასა იმნაძე

მიმოხილვა

უკანასკნელი რამოდენიმე ათეული წელი, განსაკუთრებით ხანა ომის შემდეგ, არის ის ხანა, როდესაც კაცობრიობის ისტორია ახალ გზებზე სდგება და როდესაც ცხოვრების ყოველ დარგში გადაფასება, ხელახალი შეფასება ხდება. ვერ დაასახელებთ ცხოვრების ვერც ერთ საზოგადოებრივ თუ მეურნულ მოვლენას, რომ ამ პროცესს არ განიცდიდეს. — და ეს განსაკუთრებით იდეოლოგიურ დარგში. თუ ეს საერთო მოვლენაა, როგორც ყოველთვის, მას თავისი გამონაკლისებიც აქვს, და ჩვენ ყურად-

ღებას ვაქცევთ ერთ ასეთ გამონაკლისს, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ქართულია. ასეთი გამონაკლისია ორგანო „სოციალისტური აზრი", რომელიც ეკუთვნის ეგრედწოდებულ ოპოზიცია-ცენტრს, მენშევიკური პარტიის ნამსხვრევებს. აი, საინტერესოა „სოციალისტური აზრის" ხალხი, რომლისთვისაც თანამედროვე ცხოვრებას გვერდზე ჩაუვლია ისე, თითქო ამ ხალხს ეძინა და არაფერი გაუგია! ფიქრობენ, მსჯელობენ, სწერენ ისე, როგორც 1905 წელში! ჩვენ არც ეს გვაინტერესებს და არც მისი დავა ბ-ნ ნ. ჟორდანიას ჯგუფთან პარტიულ საკითხებზე, არ გვაინტერესებს იმიტომ, რომ ეს მენშევიკური პარტია, როგორც პარტია აღარაა, იგია დაქსაქსული, გაუბედურებული მარქსიზმის ნაგლეჯები.

ჩვენ გვაინტერესებს ამ ჯგუფის დამოკიდებულება საქართველოს საკითხთან და ამ მხრივ კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე სდგას, მაგრამ ამ ჯგუფს ამ მიზნის მისაღწევად ერთად-ერთი გზა მიაჩნია სწორად; „სოც. აზრის" შეხედულებით, საქართველოს განთავისუფლების საქმე დაკავშირებულია მსოფლიოში და თვით რუსეთში დემოკრატიის გამარჯვებასთან,— თუმცა გარკვეულია არაა, თუ რომელ დემოკრატიაზეა აქ ლაპარაკი! არის იგი ეხლანდელი, ე. წ. ბურჟუაზიული დემოკრატია, თუ, მომავალი სოციალური დემოკრატია?! ჩვენ რა შეგვიძლია ამის შესახებ ვსთქვათ? — ნეტარ არიან მორწმუნენი...

×

ორგანო „სამშობლო" ეკუთვნის ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის იმ ჯგუფს, რომელიც ე. წ. „საერთო ფრონტში" შედის... ჩვენ გვახსოვს, რომ ეს ჯგუფი და განსაკუთრებით მისი ხელმძღვანელობა ამ რამოდენიმე წლის უკან გააფთრებით ბრძოლას ეწეოდა სწორედ ამ „საერთო ფრონტის" და მისი სულისჩამდგმელი მენშევიზმის წინააღმდეგ, და გადაჭარბებული ზომითაც! დღეს კი ეს ორგანო სხვას ჭკუას ასწავლის და გაღმა ედავება! რა შეიცვალა ნეტავ!?

×

ბნმა გ. ფოფხაძემ გამოსცა რვეული: „რას ნიშნავს ეს?". გამომცემელის მიზანია მკითხველს, მუშა-პროლეტარს, რომელსაც იგი მიმართავს, დაანახვოს და აჩვენოს ის იდეოლოგიური თუ ტაქტიკური წაჯექ-უკუჯექობა, რომელიც მენშევიკურ მეთაურობას ახასიათებს. მართლაც ძნელია ამდენ აბდაუბდაში გაერკვეს არამც თუ „მუშა-პროლეტარი", არამედ გამოცდილი მოაზროვნეც! — ბ-ნი გიორგი ფოფხაძე, როგორც ძველად იტყოდენ ხოლმე, „ძველი და მოწინავე მუშა" უკვე გამომშვიდობებია სოც.დემ. პარტიას, — ეს არ არის და არც იქნება პირველი და უკანასკნელი...

დ. მარჯანიშვილი

ქართველთა საზოგადოება ლატვიაში

ქალაქ რიგაში დაარსებულ ქართველთა საზოგადოებას მხოლოდ ერთი წლის ისტორია აქვს. ამ მცირე ხანში კი საზოგადოების გამგეობამ შესძლო ფრიად სასარგებლო მუშაობა ეწარმოებინა: — წევრებს ეძლეოდათ უფასო იურიდიული და საექიმო დახმარება, ყოველ ხუთშაბათობით კეთდებოდა მოხსენებები ქართული ისტორიიდან და ლიტერატურაზე. საზოგადოებას ასეთი შეხვედრებისათვის აქვს თავისი საკუთარი ბინა. აგრეთვე დაარსებული იყო და განაგრძობს მოქმედებას ქართული ენის, ისტორიისა და ლიტერატურის კურსები.

მართალია, მთელი შემადგენლობა საზოგადოებისა ლატვიის მოქალაქეთაგან შესდგება, და ბევრი მათგანი თვით ლატვიაშია დაბადებული, მაგრამ მათი ინტერესი და სიყვარული დაშორებულ საქართველოსადმი ფრიად დიდია

ეხლა-ხან მოხდა საზოგადო კრება, რომელმაც გამგეობაში აირჩია შემდეგი პირები: იური იუროვსკი, ალ. შვანგირაძე, კ. ცინცაძე, ნინო შვანგირაძე და მ. მაღლაკელიძე. სარევიზიო კომისიაში: ს. ტერ-ხაჩატუროვი, ავთ. ჩიკაშუა, კ. კავსაძე და თ. ხმალაძე. საზოგადოების თავჯდომარე ი. იუროვსკი, ადგილობრივი რუსული თეატრის რეჟისორი და სახელოვანი მსახიობი, რასაკვირველია, იშვიათ ენერგიას იჩენს ამ ახალი საქმის წაყვანისათვის.

დიდი მადლობის ღირსია ქ-ბ-ნი ნადეჟდა სპადე (მეუღლე ლატვიის ფლოტის სარდლისა) და ქ-ბ-ნი ერიკა ტერ-ხაჩატუროვი საზოგადოების დიდ დახმარებისათვის.

რიგელი

ფული და მასალები უნდა გადმოიგზავნოს შემდეგი მისამართით: —

Mr AKAKI CHAVGOULIDZE

50, Rue Vauthier, Boulogne-sur-Seine, France.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპოლიტიკო კრებული

ო რ ნ ა ტ ი

მეექვსე

1934 წ. ნოემბერ-დეკემბერი.

შინაარსი: —

		გვერდი
შ. მაღლაკელიძე	— ჩვენი გეზი	3
ედ. პაპავა	— ჩვენი პოლიტიკური პარტიები და ახალი თაობა	6
ბ. ბებურიშვილი	— საერთო ფრონტი	11
ვ. ნოზაძე	— საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ	14
ვლასა იმნაძე	— კრიზისის გამო	26
დ. მარჯანიშვილი	— მიმოხილვა	29
რიგელი	— ქართველთა საზოგადოება ლატვიაში	31

m-1347